სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №100

ქ. გორი

18 ივნისი, 2019 წელი

ერთის მხრივ, ***სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*** (შემდგომში - შემსყიდველი), ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი ხორბალაძის სახით და მეორეს მხრივ, ***ი/მ გია მერებაშვილი*** (შემდგომში - მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის I პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია - ***ჯილდოს/თასების*** შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია: ***ჯილდო/თასი (CPV: 18530000)*** *- 3 (სამი) ცალი; 1 (ერთი) ცალის ღირებულება - 50 (ორმოცდაათი) ლარი;*

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა ***150*** *(ას ორმოცდაათი)* ლარი.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2 (ორი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. №5[ა].

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები ან ანგარიშფაქტურა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.2. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერის ცენტრის ხელმძღვანელი ზურაბ ზურაბაშვილი.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და დამოწმებულია/დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერებით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის შედგენილი იქნება ქართულ ენაზე და დამოწმებული/დადასტურებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერებით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

16. მხარეთა ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	*ი/მ გია მერებაშვილი*
მისამართი - ქ. გორი, ი. ჭავჭავაძის ქ. №53	მისამართი - ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. №5ა
ტელ.: 0 370 22 94 90	ტელ.: 595 19 09 50
საიდენტიფიკაციო კოდი - 218076542	საიდენტიფიკაციო კოდი - 59001017564
<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>	<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>
სახელმწიფო ხაზინა	სს „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია“
ბანკის კოდი TRESGE22	ბანკის კოდი UGEBGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში	ანგარიშის ნომერი GE38VT0200000049733602
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	
გიორგი ხორბალაძე	*გია მერებაშვილი*
---	---

ს ს ი პ - გ ო რ ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა ს წ ა ვ ლ ო უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. გორი

18 ივნისი, 2019 წელი

ს ს ი პ - გ ო რ ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა ს წ ა ვ ლ ო უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ს ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი ი ს ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ი და მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირი - უნივერსიტეტის ბიუჯეტირებისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი ვადასტურებთ, რომ *ჯილდოს/თასების* შესყიდვის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი"-ს მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისად, მიმწოდებლის - ი/მ გია მერებაშვილის მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

გიორგი ხორბალაძე

მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირი -

ბიუჯეტირებისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი

გიორგი ტეტუნაშვილი